სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

57629926453615

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მიღებული რწმუნებულების/მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N151349833

რეგისტრაციის თარიღი

14.12.2015 წ

ნოტარიუსი: მაია ბიგვავა
მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი #26
ტელეფონი: 2999620, 2932317

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

[illegible]

სანოტარო აქტი

ი ათას თხუთმეტი წლის თოთხმეტ დეკემბერს, მე, ნოტარიუს მაია ბიგვავას, ჩემს
ანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, რუსთაველის 26
ირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა მიხეილ
ბახტაძე, რომელმაც განაცხადა, რომ ამჟამად იმყოფება გერმანიაში და სურს ნოტარიუსის
წინაშე ონლაინ რეჟიმში შეადგინოს მინდობილობა, რომელიც დადასტურდება სანოტარო
წესით. მე დავადგინე სანოტარო აქტის მონაწილის პირადობა სსიპ სამოქალაქო რეესტრის
სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად
მიხეილ ბახტაძემ (დაბადებული 30.04.1970წ. პირადი №01001003151 მცხოვრები: თბილისი
ნ.ბაშალეიშვილის ქ. N 20.) მომმართა.

სანოტარო აქტის დადასტურებას ესწრებოდნენ: დალი ხანდოლიშვილი (დაბადებული
22.01.1968წ. პირადი №01015017922 მცხოვრები: **თბილისი ასათიანის ქ. N 1.**), როგორც მინდობის
ნდობით აღჭურვილი პირი (ხელმომწერი) და ინოლა ნიკაჭაძე (დაბადებული 01.02.1990წ.
პირადი ნომერი №18001058965, მცხოვრები: **ზესტაფონი ს. ზედა საქარა მე-17 I შეს. N 5.**) როგორც
მოწმე.

ვადასტურებ, რომ სანოტარო აქტის მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის
საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა, სანოტარო აქტის მონაწილეებს განვუმარტე
სანოტარო აქტის შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც
მიხეილ ბახტაძეს ხელმომწერისა და მოწმის თანდასწრებით წაეკითხა შეთავაზებული ტექსტი

მინდობილობა

მე, მიხეილ ბახტაძე, ამ მინდობილობით ნინო ბახტაძეს (დაბადებული 04.11.1968წ. პირადი №01015001995.) ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:
იყოს ჩემი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ყველა მესამე პირთან, მათ შორის ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოსთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსთან, საპატრულო პოლიციასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან, ამავე სამინისტროს შემოსავლების სამსახურებთან, საგადასახადო და საბაჟო სამსახურებთან, გაფორმების ეკონომიკურ ზონასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებთან, ქ. თბილისის იუსტიციის სახლთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, სამოქალაქო და საჯარო რეესტრების ტერიტორიულ სამსახურებთან თუ მათ არქივებთან, ქ. თბილისის მერიასთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებთან, მათ შორის თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურთან და ზედამხედველობის სამსახურთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სანოტარო ბიუროებთან, ნებისმიერ სადაზღვევო კომპანიასთან, ასევე საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში. მიმართოს მათ საჭირო განცხადებებით, განაცხადებით თუ სხვა სახის მოთხოვნებით, მიიღოს მათგან შესაბამისი პასუხები. წარადგინოს, მიიღოს და ხელი მოაწეროს ჩემს სახელზე გაცემულ ნებისმიერ დოკუმენტს, მიიღოს ჩემს სახელზე გაცემული სადაზღვევო პოლისები, ვაუჩერები.

წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მინდობილ პირს უფლება აქვს:

მართოს და განკარგოს მთელი ჩემი უძრავ-მოძრავი ქონება, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი და ამის შესაბამისად დადოს კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება (ასევე შეთანხმებები გარიგებებში ცვლილებების შეტანის ან გაუქმების შესახებ) ქონების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებით, მათ შორის: აღრიცხოს ან დაარეგისტრიროს თავის სახელზე, ჩემი სახელით გააჩუქოს, მიიღოს საჩუქრად, დატვირთოს იპოთეკით ნებისმიერი ვალდებულების უზრუნველსაყოფად, გაცვალოს, გამიჯნოს, გაყიდოს, შეისყიდოს, დააგირაოს, გააქირაოს/გასცეს იჯარით ჩემს სახელზე რიცხული ნებისმიერი ქონება, ან დადოს ამ ქონების მართვასთან და განკარგვასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა სახის გარიგება. ყველა ჩამოთვლილ თუ სხვა შემთხვევაში გარიგების პირობები განსაზღვროს თავის შეხედულებისამებრ. მიიღოს თანხა, როგორც ჩემი კუთვნილი ქონების განკარგვის შედეგად მიღებული საზღაური; შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოებში ჩემს სახელზე დაარეგისტრიროს (აღრიცხოს) ამჟამად ჩემს მფლობელობაში არსებული, მაგრამ დაურეგისტრირებელი და ასევე ჩემი სახელით მომავალში შეძენილი ნებისმიერი სახის უძრავ-მოძრავი ქონება.
ჩემი სახელით საქართველოში ნებისმიერ ბანკში გახსნას ან/და დახუროს, მართოს და განკარგოს ჩემი კუთვნილი ნებისმიერი საბანკო (მათ შორის შემნახველი, საკრედიტო, დეპოზიტური, ანგარიშსწორების თუ სხვა) ანგარიში, მიიღოს ანგარიშსწორების ბარათი, PIN კოდი, მოახდინოს ინტერნეტ ბანკინგის რეგისტრაცია, მიიღოს ინტერნეტ ბანკინგის კოდი, მიიღოს დიჯიპასი, ისარგებლოს ინტერნეტ ბანკინგის

მომსახურეობით. ჩემს ანგარიშებზე აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, მათ შორის, მოხსნას, არიცხოს და გადარიცხოს ანგარიშებიდან თანხები, მოახდინოს ვალუტის კონვერტაცია, მიიღოს ნებისმიერი სახის გზავნილი, მიიღოს ინფორმაცია ჩემი ნებისმიერი ტიპის საბანკო დავალიანების შესახებ, მიიღოს ნებისმიერი სახის ამონაწერი, საბანკო ჩეკი, ცნობები.

დაიცვას ჩემი ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესები. ამ მიზნით მინდობილი პირი მიმნდობს წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოებში, ნებისმიერ არბიტრაჟში, საჯარო თუ კერძო სამართლის იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში და აწარმოებს შესაბამის სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეს. აღნიშნული მინდობილობის განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია მიმნდობის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით მათ შორის: მიმნდობის სახელით შეიტანოს განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში და/ან არბიტრაჟში, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი ან დაიბრუნოს გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, აღძრას სასამართლოს და/ან არბიტრაჟის წინაშე შუამდგომლობანი, მისცეს სასამართლოსა და/ან არბიტრაჟს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, დაამთავროს საქმე მორიგებით და ხელი მოაწეროს სამორიგებლო შეთანხმებას, შეცვალოს სარჩელის საგანი და ან საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, გაასაჩივროს სასამართლოსა და/ან არბიტრაჟის ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, მიიღოს სააღსრულებო ფურცელი, წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი აღსრულების ეროვნულ ბიუროში და აწარმოოს სააღსრულებო საქმე.

ზემოაღნიშნული დავალებების შესრულების ფარგლებში მინდობილი პირი უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი სახის იურიდიული მოქმედება, წინამდებარე მინდობილობაში მათ შესახებ პირდაპირი მითითების გარეშეც, თუ ასეთი რამ აუცილებელი იქნება მიმნდობის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული მნიშვნელობის ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, დანარჩენი გადაეცა მიმნდობის ნდობით აღჭურვილ პირს.

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩაიწერე მე, ნოტარიუსმა მაია ბიგვავამ რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წაუკითხე მარწმუნებელს, რომელმაც დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მინდობილობის გაცემისას იგი არ იმყოფება რაიმე სახის ფიზიკური, ფსიქიკური ან სხვა სახის ზეწოლის ქვეშ და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს დალი ხანდოლიშვილს.

სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადახდევინებულია საზღაური 61 ლარი. მათ შორის 50 ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 32-ე მუხლის საფუძველზე, სარეგისტრაციო მოსაკრებელი 2 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ამავე დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ხოლო 9 ლარი-დღგ, თანახმად, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169–ე მუხლისა.

ხელმოწერა: _____

მიმნდობის ნაცვლად მისივე თხოვნით
ხელს აწერს დალი ხანდოლიშვილი

მოწმე: _____

ნოტარიუსი: /მაია ბიგვავა/

